სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი **2014 წლის 29 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. სოსიაშვილი თათია 6. ბერუაშვილი ანზორი 7. გოგინავა უშანგი 8. ხომერიკი რამაზი 9. თუთბერიძე ბეჟანი 10. მაჭავარიანი ლია 11. გეგეჭკორი არნოლდი 12. ხაჩიძე მანანა 13. ბექაური ბექა 14. ბახტურიძე პაატა 15. თუმანიშვილი გიორგი 16. თოდუა ნონა 17. კვირიკაშვილი ბახვა 18. კუპრაძე ირაკლი 19. იმნაძე პაატა 20. მარგველაშვილი ვლადიმერი 21. ოკრიბელაშვილი ნინო 22. გიორგაძე გიორგი 23. წერეთელი მარი 24. შამილიშვილი მანანა 25. ლორთქიფანიძე ლევანი 26. საბაური შალვა 27. ჟვანია ირინე 28. ჩახუნაშვილი ნინო 29. დადეშქელიანი ბექა 30. ლორია კახაბერი 31. გორდეზიანი ლევანი 32. გელოვანი ნანი 33. თაბუაშვილი აპოლონი 34. ბრაჭული ირაკლი 35. ოთხმეზური გიორგი 36. პაიჭაძე თამარი 37. ჯეგბაშვილი ნანა 38. მინდიაშვილი თეონა 39. სამხარაძე ლაშა 40. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. გოგსაძე გიორგი 5. გალდავა გიორგი 6. კოპალეიშვილი მაია 7. სურგულაძე ნუგზარი 8. სამსონია შოთა 9. ომანაძე როლანდი 10. სილაგაძე ავთანდილი 11. მარშავა ქეთევანი 12. ჭკუასელი ქეთევანი 13. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების მომიჯნავე საკუთრების დროებითი სარგებლობის ფორმით გაცემის საკითხის განხილვა

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროშისა და გერბის დამტკიცება

3. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118/2014 დადგენილების დამტკიცება

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 სტუდენტის დუბლინის ტრინიტი კოლეჯში სწავლის დაფინანსების საკითხის განხილვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების მომიჯნავე საკუთრების დროებითი სარგებლობის ფორმით გაცემის საკითხი. ბაგების ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელთან ახლოს, იგეგმება თხევადი აირის მოძრავი სადგურის (გამმართველი მანქანის) განთავსება. მიმდებარე ტერიტორიაზე გაზიფიკაცია ჯერ არ დაწყებულა, რის გამოც მაცხოვრებლები კარგა ხანია ითხოვენ თხევადი აირის მანქანის განთავსებას, ეს დაეხმარება უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მაცხოვრებელ სტუდენტებსაც. ერთ-ერთმა დაინტერესებულმა კომპანიამ, აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაბამისი მანქანის განთავსების თხოვნით, მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. სამინისტრომ, თავის მხრივ, მიმართა უნივერსიტეტს, როგორც მომიჯნავე ტერიტორიის მფლობელს, პოზიციის დასაფიქსირებლად.

დაინტერესებული კომპანიის წარმომადგენელმა, ბატონმა თეიმურაზ მიქაბერიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოძრავი სადგური განთავსდება, რომლის გადაადგილებაც მარტივადაა შესაძლებელი. თუ მოსახლეობას დისკომფორტი შეექმნება, ერთი თვის განმავლობაში კომპანია უზრუნველყოფს მოძრავი სადგურის გატანას. ამასთან, დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა სტანდარტი. ყოველივე ეს იურიდიულად აისახება შესაბამის ხელშეკრულებაში, რომელიც სამინისტროსთან დაიდება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ, გიორგი ოთხმეზურმა, ბეჟან თუთბერიძემ, ქალბატონმა ნონა თოდუამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანახმაა, მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსდეს თხევადი გაზის გამმართველი მოძრავი სადგური, თუკი დაცული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების სტანდარტები და მოსახლეობას არ შეექმნება დისკომფორტი.

2. თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბისა და დროშის სავარაუდო ესკიზების შესარჩევი დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული დროშისა და გერბის ესკიზები. მისი განმარტებით, არსებობის მანძილზე უნივერსიტეტს არ ჰქონია ოფიციალური დროშა და გერბი.

პრაქტიკაში გამოიყენებოდა დიმიტრი შევარდნაძის მიერ შესრულებული ირმისა და ნუკრის გამოსახულება, რომელიც თავდაპირველად უნივერსიტეტის ბეჭედზე გამოისახებოდა. საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიწოდებული კრიტერიუმების საფუძველზე, წარმოადგინა რამდენიმე ესკიზი, რომელთაგან დროებითმა სამუშაო ჯგუფმა შეარჩია საუკეთესო ვარიანტები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - კახაბერ ლორიამ, აპოლონ თაბუაშვილმა, გიორგი ოთხმეზურმა, არნოლდ გეგეჭკორმა, ლევან ლორთქიფანიძემ, შალვა საბაურმა, ბექა დადეშქელიანმა, ირაკლი კუპრაძემ, ლევან გორდეზიანმა, ირაკლი ბრაჭულმა, ქალბატონებმა - ნონა თოდუამ, ლია მაჭავარიანმა, თამარ პაიჭაძემ, მანანა ხაჩიძემ, აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი გოგსაძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

მსჯელობის შედეგად შეირჩა დროშისა და გერბის თითო-თითო ესკიზი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი (დანართი 3) 2. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროშა (დანართი 4)

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118/2014 დადგენილება. მისი განმარტებით, მოქმედი წესისგან განსხვავებით, ახალ დადგენილებაში რამდენიმე პრინციპული ცვლილებაა შეტანილი. მთლიანად იცვლება აპელაციის პროცედურა და საჩივრების განმხილველი სუბიექტი, ღია კენჭისყრის ნაცვლად, საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს ფარული კენჭისყრით, ამასთან, კომისია ვალდებული იქნება იმდენი პირი დაასახელოს გამარჯვებულად, რამდენ ვაკანსიაზეც არის გამოცხადებული კონკურსი. ახალ წესში გათვალისწინებულია სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც საკონკურსო კომისიის მუშაობასთან და კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ახალი წესი მიმდინარე კონკურსებზე არ გავრცელდება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ აუცილებელია ჯგუფური კონკურსების მანკიერი წესი აღმოიფხვრას, ასევე, მნიშვნელოვანია, უფრო მკაფიოდ განისაზღვროს კონკურსის ჩატარების კრიტერიუმები. ალოგიკურია

საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი - ფარული კენჭისყრა. უნივერსიტეტი თანდათან უნდა გადავიდეს ე.წ. ტენუარის მოდელზე, ამით კანდიდატის საპენსიო ასაკთან დაკავშირებული უხერხულობაც მოიხსნება.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განმარტა, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში მხოლოდ რამდენიმე მუხლი იცვლება შინაარსობრივი თვალსაზრისით. ე.წ. ჯგუფური კონკურსები რამდენიმე წელიწადში იქნება ისევ, რადგან აკადემიური პერსონალის დიდ ნაწილს ვადა გასდის. სწორედ ამის გამო უნივერსიტეტი წინასწარ იჭერს თადარიგს და ემზადება კონკურსებისათვის. ტენუართან და აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადასაწყვეტად კი აუცილებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს, რის შემდეგაც უნივერსიტეტიც ასახავს მათ წესდებასა და სამართლებრივ აქტებში. მანამდე კი მნიშვნელოვანია, არსებული სინამდვილის ფარგლებში, უნივერსიტეტში ოპტიმალური წესი მოქმედებდეს, რომელიც სამართლიანი და ობიექტური კონკურსების ჩატარების შესაძლებლობა მოგვცემს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ნონა თოდუამ, ნანი გელოვანმა, ლია მაჭავარიანმა, ბატონებმა - გიორგი ოთხმეზურმა, ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა და ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118/2014 დადგენილება. (დანართი 5) 2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118/2014 დადგენილება არ გავრცელდეს მიმდინარე კონკურსებზე.

4. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოადგინა უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი. მისი განცხადებით, 2015 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, მოსალოდნელი ნაშთის, სახელმწიფო

ბიუჯეტიდან, ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, საერთაშორისო გრანტებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან განისაზღვრა 87 863 666 ლარით.

ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შედგება: ა) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გასაწევი ხარჯების, ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი ხარჯების, გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ ფარგლებში გასაწევი ხარჯების, დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში გასაწევი ხარჯების და ე) ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების ჯამისაგან. აქვე შევნიშნავთ, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ფაკულტეტების მიხედვით გასაწევი ხარჯების პროექტები შეთანხმებულია ყველა ფაკულტეტის საბჭოსთან. ამდენად, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა სულ 87 597 476 ლარით.

სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებედართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები (54 723 060 ლარი) გაანგარიშებულია და ბიუჯეტში გაწერილია, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით და ეყრდნობა საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ დანახარჯებს. 2015 წლის ბიუჯეტში პირველად იქნა გათვალისწინებული სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ფაკულტეტების მიხედვით და ამ მიზნით, თითოეულ ფაკულტეტს გამოეყო 75 000 ლარი. ასევე, რიდერებისა და სხვა მასალების თარგმინისათვის გათვალისწინებულია თითოეულ ფაკულტეტზე 50-50 ათასი ლარი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებისა და სამეცნიერო ექსპედიციების დაფინანსებაზე გათვალისწინებულია 259 835 ლარი. სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე, სამეცნიერო კონფერენციებსა და იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის დასაფინანსებლად - 361 211 ლარი, სტუდენტების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის - 650 000 ლარი, ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული პროფესორებისათვის - 193 000 ლარი, სესიების, კონფერენციების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრებისათვის - 118 320 ლარი, სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების, მასალების, საცდელი მაკეტების და რეაქტივების და სხვა მასალების შეძენისათვის - 237 000 ლარი და ა.შ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი ხარჯები (17 603 100 ლარი) გაანგარიშებულია და ბიუჯეტში გაწერილია შემოერთებული სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე,

აღნიშნული მონაცემები მათ მიერ, ასევე, წარდგენილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების - ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ - ფარგლებში გაწეული ხარჯები შედგება: 1. სახელმწიფო სასწავლო სტიპენდიისაგან, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით არსებული პროგრამის მიხედვით. სავარაუდო თანხა დადგენილია 766 სტუდენტზე, 150 ლარის ოდენობით, 10 თვის განმავლობაში (114 9000 ლარი) და 2. ზვიად გამსახურდიას სახელობის პრეზიდენტის სტიპენდიისაგან (2015 წლისათვის 7000 ლარი), რომელიც გამოყოფილია პრეზიდენტის ფონდიდან და მოქმედებს 2014 წლის ოქტომბრიდან 10 თვის განმავლობაში.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში გასაწევი ხარჯებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, 2014 წლის ბოლოს, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის და ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის რემონტისათვის გამოიყო 1 957 557 ლარი. თანხა მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაირიცხება უნივერსიტეტის ანგარიშზე და მისი გახარჯვა მოხდება 2015 წლისათვის.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯები (12157758 ლარი) გაანგარიშებულია და ბიუჯეტში გაწერილია ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტების 2015 წლისათვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებიდან, ასევე მოქმედი საერთაშორისო გრანტების და მოსალოდნელი გრანტების სავარაუდო მონაცემების მიხედვით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - ნონა თოდუამ და მანანა შამილიშვილმა, ბატონებმა - გიორგი ოთხმეზურმა, ლევან გორდეზიანმა, ლევან ლორთქიფანიძემ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, ზურაბ გაიპარაშვილმა, ბეჟან თუთბერიძემ, რამაზ ხომერიკმა და კახაბერ ლორიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი. (დანართი 6)

5. პროფესორმა ალექსანდრე შენგელაიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1 სტუდენტის დუბლინის ტრინიტი კოლეჯში სწავლის დაფინანსების საკითხი. დუბლინის ტრინიტი კოლეჯი ერთ-ერთი აღიარებულია მსოფლიოში ფიზიკის მიმართულებით. რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კოლეჯს შორის დაიდო მემორანდუმი. მემორანდუმის დადებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიის რესპუბლიკაში. ივარაუდებოდა, რომ იმ სტუდენტებს, რომლებსაც უნივერსიტეტი შეარჩევდა დუბლინში სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო დააფინანსებდა. თუმცა სახელმწიფოს შესაბამისმა ფონდმა პროფილი შეიცვალა და მხოლოდ მაგისტრატურის სტუდენტებს აფინანსებს. ვინაიდან ტრინიტი კოლეჯს მხოლოდ ბაკალავრიატი და დოქტორანტურა აქვს, შეუძლებელი გახდა შერჩეული სტუდენტებისათვის რაიმე ფორმით ხელის შეწყობა. ბაკალავრიატზე სწავლის ერთი წლის გადასახადი შეადგენს 31 000 ევროს. წარმომადგენლობითი საბჭოს რეკომენდაციით შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამის პუნქტში გათვალისწინებულ იქნას სტუდენტის 2 წლიანი დაფინანსებისთვის აუცილებელი თანხა. აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობებში უნივერსიტეტის პრესტიჟის განმტკიცებას.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა, რომ დუბლინიკის ტრინიტი კოლეჯი განსაკუთრებული უნივერსიტეტია და მასთან თანამშრომლობა ნამდვილად საპატიოა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ერთი სტუდენტის დაფინანსებისთვის, რასაც 2 წლის ჯამში 62 000 ევრო სჭირდება, მოგვიწევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გადახდილი თანხიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფა. აუცილებელია წარმომადგენლობითი საბჭოს რეკომენდაცია, რათა მსგავსი პრეცედენტი იქნას დაშვებული.

მსჯელობის დაწყებამდე წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს მოუწოდა, საღამო ხანისა და სენატის სხდომის ხანგრძლივობის მიუხედავად, არ დაეტოვებინათ სხდომის დარბაზი და დასწრებოდნენ კენჭისყრას.

საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულები მოსაზრებები გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - გიორგი თუმანიშვილმა, შალვა საბაურმა, გიორგი ოთხმეზურმა, ირაკლი კუპრაძემ და რამაზ ხომერიკმა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ სტუდენტის დაფინანსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმე ნაკლებადაა, მით უმეტეს, როცა სხვა უნივერსიტეტში სწავლას ეხება საქმე და რამდენიმე ათეულ უნივერსიტეტთან უფასოდ გვაქვს გაცვლითი პროგრამები. მსგავსი წახალისება სახელმწიფოს ვალდებულება უფროა.

საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტის 90% სტუდენტების მიერ გადახდილი თანხაა. ამ დროისათვის 2000-ზე მეტ სტუდენტს თანხის გადავადებაზე განცხადება აქვს დაწერილი. სტუდენტების მიერ თანხის არგადახდის შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნას. ასეთ ვითარებაში სარისკოა მსგავსი ვალდებულების აღება.

კენჭისყრის დროისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 27 წევრი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 9

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს ექვსმა წევრმა.

მიღებული გადაწყვეტილება: უარი ითქვას სტუდენტისათვის დუბლინის ტრინიტი კოლეჯში სასწავლებლად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის თაობაზე რეკომენდაციის გაცემაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:	კახაბერ ლორია
წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:	დიმიტრი გეგენავა

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918

დადგენილება №118/2014
22 დეკემბერი, 2014

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 18.12.2014, №43617/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:
   ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (დანართი №1);
   ბ) კონკურსში მონაწილეობის მსურველის განცხადების ფორმა (დანართი №2);
   გ) კონკურსანტის ანკეტა (დანართი №3);
   დ) კონკურსანტის შეფასების ფორმა (დანართი №4);
   ე) ბიულეტენის სანიმუშო ფორმა (დანართი №5).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის №31/2012 დადგენილება.
3. აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი (ტექსტში შემდგომ - ,,წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს სსიპ - „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო მიზნების, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტისათვის მისი ერთიანობის, ღიაობის, გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების განუხრელი დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს უნივერსიტეტის მოთხოვნებისა და საკონკურსო მონაცემების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება უნივერსიტეტის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

2. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 6 (ექვსი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

3. უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

4. უნივერსიტეტში ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი.

5. პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, რომლითაც ცხადდება კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ასეთ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

6. უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს გადაცილებული პირის არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ–პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ერთიდაიგივე მიმართულების აკადემიური პერსონალის ასარჩევად კონკურსი პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება და ტარდება სხვა აკადემიური თანამდებობების დაკავების მიზნით გამოსაცხადებელი (ჩასატარებელი) კონკურსებისაგან დამოუკიდებლად.

3. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე, შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი ვადები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება უნივერსიტეტისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

მუხლი 4. საკონკურსო კომისია

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია (შემდგომში - ,,საკონკურსო კომისია“, ან ,,კომისია“), რომლის შემადგენლობა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის რექტორის წარდგინებით.

2. საკონკურსო კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის მოწვეული (მათ შორის უცხოელი) სპეციალისტებისაგან, რომლებსაც უნივერსიტეტში არ უკავიათ აკადემიური თანამდებობა. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შექმნას ერთდროულად რამდენიმე საკონკურსო კომისია ფაკულტეტებისა და მიმართულებების მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიასთან ერთად აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება საკონკურსო-სააპელაციო კომისია. იგი კომპლექტდება და მისი შემადგენლობა მტკიცდება იმავე წესით, რაც გათვალისწინებულია საკონკურსო კომისიისათვის. დაუშვებელია საკონკურსო-სააპელაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს საკონკურსო კომისიის რომელიმე წევრმა. გარდა იმ ნორმებისა, რომლებიც პირდაპირ ეხება საკონკურსო-სააპელაციო კომისიას, კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-4, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-14, მე-15, მე-16 პუნქტებით.

4. კომისიის მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტები.

5. კომისიის შემადგენლობაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე/მოადგილეები, კომისიის მდივანი (გამონაკლის შემთხვევებში კომისიის სამდივნო, რომელიც შედგება კომისიის არანაკლებ ორი წევრისაგან).

6. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის ან პრეტენდენტის სტატუსით, ან პირი, რომელიც კონკურსანტისა თუ პრეტენდენტის ახლო ნათესავია. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები ასევე განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით. კონკურსანტი/პრეტენდენტი უფლებამოსილია ამავე კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით განაცხადოს აცილება.

7. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

8. გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, რაც არ უნდა იყოს კომისიის სიითი

შემადგენლობის 1/2-ზე ნაკლები. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. საკონკურსო კომისიის მიერ კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კომისიის იმ წევრს, რომელიც სრულად არის გაცნობილი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ მასალებსა და ინფორმაციას.

10. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს ერთზე მეტი მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობების დროებით შესასრულებლად კომისიის სხდომაზე მათგან აირჩევა სხდომის თავმჯდომარე. კვორუმის არსებობისა და კომისიის მდივნის (ან სამდივნოს) სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კომისიის სხდომის მდივნის არჩევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის ამ სხდომის ოქმის შედგენაზე.

11. საკონკურსო კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის, კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ექვემდებარება საჯაროდ გამოქვეყნებას).

12. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული გადაწყვეტილებებისა, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, კომისიის მიერ შესაბამისი ფაკულტეტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით.

13. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში.

14. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

15. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე.

16. დაუშვებელია საკონკურსო კომისიასა ან მის რომელიმე წევრზე (წევრებზე) კონკურსანტის ან პრეტენდენტის მიერ ან/და მათი სახელით, რაიმე სახის ან ფორმის ზეწოლა საკონკურსო კომისიაში მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ,,ახლო ნათესავში“ იგულისხმება ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატს (ტექსტში შემდგომ - აპარატი).

2. აპარატი და მისი უფროსი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, აპარატს წარუდგინოს განცხადება (დადგენილების დანართი N2) კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილი იქნას ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე).

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველი კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, წარდგენილ განცხადებას დაურთოს კონკურსანტის შევსებული ანკეტა (დადგენილების დანართი N3) და შესაბამისი დოკუმენტაცია (კონკურსანტის ანკეტის დამტკიცებული ფორმის/შევსების წესის დაცვა სავალდებულოა).

5. სავალდებულოა კონკურსანტის შევსებული ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ ანკეტა შევსებული უნდა იქნეს სრულად და მას უნდა ერთვოდეს ანკეტაში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა აუცილებელი დოკუმენტი ან მასალა.

7. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

8. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება და ილუქება საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისათვის გადაცემული ფაკულტეტის კანცელარიის ბეჭდით საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ კონკურსანტის თანდასწრებით (გარდა კონკურსანტის მიერ დასწრებაზე უარის განცხადებისა).

9. საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, საბუთები მიღებას არ ექვემდებარება და კონკურსში მონაწილეობის მსურველს აპარატის მიერ ეძლევა განაცხადის, კონკურსანტის ანკეტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის განმეორებით წარმოდგენის ვადა, მაგრამ არაუმეტეს საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საკონკურსო განცხადებების /დოკუმენტაციის/ მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღისა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წინამდებარე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონკურსო განცხადება მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპი

1. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაბამის საკონკურსო კომისიას გადაეცემა აპარატის მიერ საკონკურსო განცხადებების მიღების დასრულებისთანავე ან იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია საკონკურსო დოკუმენტაციის განმეორებით წარმოდგენის ვადა - არაუადრეს ამ ვადის დასრულების დღისა, დალუქულ მდგომარეობაში, აპარატის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებულ საკანცელარიო აღწერის დოკუმენტთან ერთად.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე კომისიის მიერ.

3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

4. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის ანკეტის ინფორმაციის სისწორეს და არასწორი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული დარღვევის იმავე დებულებით დადგენილი წესით დადასტურების არსებობისას უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

5. საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტს მის მიერ წარმოდგენილი კონკურსანტის ანკეტაში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე ამ წესით დამტკიცებული კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დადგენილების დანართი N4).

6. კონკურსანტის შეფასების ფორმის პირველი კატეგორიის (რომელიც ეფუძნება ამ წესის მე-2 მუხლს) უარყოფითად შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

7. კომისია, კონკურსანტის ანკეტაში მოცემული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს და წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით ავსებს კონკურსანტის შეფასების ფორმას სრულად. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით მე-2 და მე-3 კატეგორიაში ფიქსირდება შეფასება ,,დაბალი'', კონკურსანტს არ ენიჭება პრეტენდენტის სტატუსი.

8. საკონკურსო კომისია ყველა შესაფასებელი კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ იღებს წერილობით გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების ზეპირ გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ და ამტკიცებს ასეთ პირთა სიას. კომისია ასევე იღებს გადაწყვეტილებას ზეპირი გასაუბრების განრიგის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს გასაუბრების თარიღ/ებ/ს. ზეპირი გასაუბრების განრიგი ქვეყნდება საჯაროდ, გასაუბრების დაწყების თარიღამდე ორი დღით ადრე.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად კომისია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, დაამტკიცოს იმ პირთა სია, რომელთაც არ მიენიჭათ პრეტენდენტის სტატუსი.

10. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კონკურსანტთა და პრეტენდენტთა კონკურსანტის ანკეტისა ან/და შეფასების ფორმის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია იმ კონკურსანტის ან პრეტენდენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი ანკეტა ან/და შეფასების ფორმა ან მათში არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი.

მუხლი 7. გასაუბრება, შეფასების მეორე ეტაპი

1. გასაუბრება ტარდება საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილ დროს და ადგილზე. გასაუბრების მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს პრეტენდენტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომითი და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის სფეროსთან.

2. პრეტენდენტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ სავარაუდო დროს. დადგენილ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიას გააჩნია უფლებამოსილება, პრეტენდენტის გასაუბრება ჩაატაროს მხოლოდ იმავე დღეს.

3. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (მაგ.: სამსახურებრივი მივლინება, ავადმყოფობა, როდესაც გასაუბრების დადგენილ ვადებში პრეტენდენტის ფიზიკური გამოცხადება შეუძლებელია) კონკურსის მეორე ეტაპი შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული საშუალებებით.

4. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსის მე-2 ეტაპის მიმდინარეობის ვიდეო ან აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით.

5. გასაუბრება წარმოადგენს პრეტენდენტის შეფასების მეორე ეტაპს.

6. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე, კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.

7. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობის განხორციელების დავალდებულების შესახებ, რომელიც გამოდგება პრეტენდენტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად.

9. პრეტენდენტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა, ასევე, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს პრეტენდენტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება/გამარჯვებულის გამოვლენა

1. წინამდებარე წესის **მე-6 და მე-7 მუხლებით** გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულ/ებ/ის გამოვლენის შესახებ.

2. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გამართული კენჭისყრისას ხმის მიცემის უფლება აქვთ საკონკურსო კომისიის იმ წევრებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებაში და ესწრებოდნენ გასაუბრების ეტაპს (ასევე, ჩატარების შემთხვევაში, ამ წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა აქტივობას).

3. ერთ აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი პრეტენდენტი.

4. აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ფარული კენჭისყრის წესით. გამარჯვებულად ცხადდება პრეტენდენტი/პრეტენდენტები, რომელიც მიიღებს/მიიღებენ კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმების ნახევარზე მეტს.

5. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი ვაკანტური აკადემიური საკონკურსო პოზიციაც არის შესაბამის მიმართულებაზე მიმდინარე კონკურსში.

6. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის მიერ მზადდება ბიულეტენები კენჭისყრისათვის, რომლებშიც აისახება მხოლოდ შესაბამისი მიმართულების საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტების სახელები, გვარები (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები) და ნუმერაცია, რაც კეთდება ანბანის მიხედვით. ბიულეტენების სისწორე დასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერებით სხდომაზე. კომისიის წევრი ვალდებულია თავისი არჩევანი დააფიქსიროს ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში

მოთავსებით. კომისიის წევრი უფლებამოსილია შემოხაზოს არაუმეტეს იმ ოდენობის რიგითი ნომრები, რა ოდენობის აკადემიური თანამდებობების ვაკანსიაც არსებობს მიმდინარე კონკურსში შესაბამის მიმართულებაზე.

7. ბიულეტენის სანიმუშო ფორმა მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ. ბიულეტენები მზადდება კომისიის მიერ. ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში, მათ შორის, კენჭისყრაში მონაწილე პირის მოთხოვნის საფუძველზე, საარჩევნო ყუთში გაფუჭებული ბიულეტენის მოთავსებამდე, კომისიის მიერ მზადდება დამატებითი ბიულეტენი და გადაეცემა კენჭისყრაში მონაწილე პირს. ამ მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ხმების დათვლისას არ გაითვალისწინება.

8. კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ხმის ფარულად მიცემისათვის აუცილებელი პირობები და საარჩევნო ყუთის არსებობა. საარჩევნო ყუთი მოწმდება კომისიის წევრების მიერ კენჭისყრის დაწყებამდე, რათა საარჩევნო კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრთა მიერ, ლუქი მოწმდება კომისიის წევრთა ხელმოწერებით. საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს კომისიის სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას. კენჭისყრის დასრულების შემდგომ კომისია ხსნის საარჩევნო ყუთს და თვლის პრეტენდენტთა მიერ მიღებულ ხმებს (ხმების დათვლის მიზნით, კომისია ასევე უფლებამოსილია შექმნას ხმის დამთვლელი ჯგუფი). ინფორმაცია კენჭისყრის პროცედურის შესახებ და მისი შედეგები აისახება კომისიის ოქმში.

9. საკონკურსო კომისიის კენჭისყრის საფუძველზე მიღებული შედეგები აისახება კომისიის შემაჯამებელ ოქმში. შემაჯამებელ ოქმში აუცილებლად აისახება მიღებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, შეფასებების) საფუძვლიანობა, პრეტენდენტთა გამარჯვებულად გამოცხადების ან გამოცხადებაზე უარის თქმის შინაარსობრივი საფუძვლები და დასაბუთება. შემაჯამებელი ოქმი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კომისიის მიერ შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით და განთავსდება შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე მისი შედგენის ან მომდევნო სამუშაო დღეს. შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში. საკონკურსო - სააპელაციო კომისია საჩივრებს განიხილავს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში და საბოლოო შედეგებს შემაჯამებელი დასკვნის სახით დასამტკიცებლად უგზავნის აკადემიურ საბჭოს.

10. საკონკურსო-სააპელაციო კომისია საჩივართა განხილვისას ვალდებულია იმსჯელოს საჩივრებში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. კომისია ასევე უფლებამოსილია, პროცედურული საკითხების სისწორის დადგენის მიზნით მოიწვიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელი.

11. საკონკურსო-სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილეობს საჩივრის წარმდგენი პირი (პრეტენდენტი) და ის დაინტერესებული პირები (პრეტენდენტები), რომელთა კანონიერ ინტერესებზე შესაძლოა პირდაპირი და უშუალო გავლენა მოახდინოს საჩივრის განხილვის შედეგებმა. საკონკურსო-სააპელაციო კომისიამ

შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები შესაძლებელია მიიღოს საკონკურსო კომისიისგან.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩატარებული კონკურსის შედეგები დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა, საკონკუსრო კომისია კონკურსის შედეგებს საკანცელარიო წესით აგზავნის აკადემიურ საბჭოში. შემაჯამებელ ოქმს აკადემიური საბჭოს შესაბამის სხდომაზე წარმოადგენს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის მიერ არჩეული მომხსენებელი. საკონკურსო შედეგების დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს სხდომაზე, გარდა საკონკურსო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმისა, საკონკურსო - სააპელაციო კომისიის მიერ იგზავნება ასევე ამ კომისიის მუშაობის შედეგები. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე განხილვისათვის მოიწვიოს საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების წარმომადგენლები ერთდროულად.

13. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ;

ბ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ნაწილობრივ დამტკიცებისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ;

გ) საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ.

14. კონკურსი დასრულებულად ითვლება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ ჩატარებულ კონკურსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

15. თუ საკონკურსო კომისია კვორუმის შეკრების პრობლემის არსებობის ან სხვა ობიექტური მიზეზის არსებობის გამო დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს შესაბამის სავალდებულო პროცედურებს, მას შესაძლოა მიეცეს დამატებითი ვადა. საკონკურსო კომისიის მიერ (ამ პუნქტით დადგენილი გარემოებების არსებობის გამო) მისთვის განსაზღვრულ დამატებით ვადაში შესაბამისი სავალდებულო პროცედურების დაუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილი წესით იქმნება ახალი საკონკურსო კომისია, რომელსაც განესაზღვრება მუშაობის ცალკე ვადები.

16. იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო კომისია განზრახ თავს არიდებს კონკურსის პროცედურის განხორციელებას და დადგენილ ვადებში ვერ დაასრულებს შესაბამის სავალდებულო პროცედურებს, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ამ წესით დადგენილი პროცედურების დაცვით განსაზღვროს ახალი საკონკურსო კომისია.

17. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცხადდება საჯაროდ.

18. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებას ექვემდებარება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიას. კონკურსანტსა და პრეტენდენტს, მისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე, სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ფაკულტეტის კანცელარიაში.

დანართი №2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიას

მოქალაქე ——————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ——————————————————— ფაკულტეტის ——— ——————————————— აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის წესდებას, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.

თანახმა ვარ საკონკურსო კომისიის მიერ შემაჯამებელი ოქმის დადგენილი წესით გამოქვეყნების შემდგომ ჩემი საკონკურსო ანკეტისა და შეფასების ფორმის ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავს პირად ინფორმაციას დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში გაცემული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერა: ——————————————— თარიღი:

——————————————————— საკონტაქტო

ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის

დანართი №3

კონკურსანტის ანკეტა

ა) პირადი ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	
დაბადების თარიღი	
მოქალაქეობა	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ.ფოსტა	
ბოლო სამსახურებრივი პოზიცია	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*				

I. კატეგორია: განათლება, აკადემიური ხარისხი და სამსახურებრივი გამოცდილება

1.1 განათლება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაკულტეტი	ჩარიცხვისა და დამთავრების წლები	კვალიფიკაცია

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი *(PhD/ საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ; ჰაბილიტაცია/სადოქტორო დისერტაციის დაცვა)*

დისერტაციის დაცვის თარიღი	
დისერტაციის თემა	
მინიჭებული კვალიფიკაცია	
კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი	

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.4 პედაგოგიური სტაჟი

6 წელზე მეტი ☐	6 წელზე ნაკლები ☐

აკრედიტებული/ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სწავლების საფეხური	სასწავლო კურსები

1.5 შეთავსებით მუშაობა

თარიღი	დაწესებულების დასახელება და დაკავებული თანამდებობა

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ წარმოდგენილი დანართის სახით მედიცინის ფაკულტეტის კონკურსანტებისათვის, რომელიც შეიცავს:

თანხმობის წერილს იმ კლინიკური ბაზის/ბაზების ხელმძღვანელისაგან, სადაც უნდა განხორციელდეს აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი;

კლინიკური ბაზის/ბაზების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს;

კლინიკურ ბაზაზე/ბაზებზე არსებულ სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი სივრცის აღწერილობას და სასწავლო პროცესისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ჩამონათვალს.

II. კატეგორია: საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური და სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

2.1 პედაგოგიური გამოცდილება

საერთო პედაგოგიური სტაჟი						
N	ბოლო 6 წლის განმავლობაში წაკითხული კურსები *კურსის დასახელება*	ლექცია	პრაქტიკული / სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	წელი
1						
2						
3						

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა

სახელმძღვანელო (მათ შორის დამხმარე)

N	*სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის დასახელება, გამოცემის წელი* (ელექტრონული კურსებისთვის - ელ.მისამართი)
1	
2	

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები

თარიღი	კურსების/ტრენინგების დასახელება	დიპლომის/სერტიფიკატის ნომერი

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს (პრიორიტეტი ენიჭება თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის კურსთან მიმართებით წარმოდგენილ ინფორმაციას)

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო
1					
2					
3					

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები *(წარმოადგინეთ დანართის სახით)*

N	კურსის დასახელება	საგანმანათლებლო პროგრამა	მეცადინეობის ფორმა		
			ლექცია	პრაქტიკული /სემინარი	ლაბორატორიული სამუშაო

1					
2					
3					

III. კატეგორია: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით, კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	ნაშრომის სათაური	ჟურნალის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები.	გამოქვეყნების წელი	ჟურნალის იმპაქტ ფაქტორი	ციტირებების რაოდენობა

3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კონკურსანტის შეხედულებისამებრ *(ცხრილი შეავსეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, დაიწყეთ უახლესი ინფორმაციით)*

N	ავტორები ყველა თანაავტორის მითითებით; კონკურსანტის გვარი გამოყოფილი უნდა იქნეს მუქი შრიფტით	პუბლიკაციის სახეობა (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/ გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში).	გამოქვეყნების წელი	ციტირებების რაოდენობა

3.3 პატენტები (გამოგონებები)

№	გაცემის წელი	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი

3.4 ციტირების ინდექსი, h და g ინდექსები *(მიუთითეთ ინფორმაციის შესაბამისი წყარო)*

ციტირების ინდექსი	h-ინდექსი	g-ინდექსი

3.5 კონკურსანტის მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში

1	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	
2	თარიღი	
	მოხსენების სათაური	
	კონფერენციის დასახელება	
	ჩატარების ადგილი	
	ელექტრონული მისამართი	

3.6 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში

№	განხორციელების წლები	დონორი ორგანიზაცია, პროექტის/ხელშეკრულების №	პროექტის დასახელება	როლი პროექტში

3.7 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან *(უცხოეთის უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრთან ერთობლივ სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, მივლინება/სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.)*

თანამშრომლობის ფორმა	უნივერსიტეტის / სამეცნიერო ცენტრის დასახელება	დაწყებისა და დასრულების თარიღი

3.8 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი

პუბლიკაციის სახეობა	პუბლიკაციის სათაური, ავტორები, ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი	გამოქვეყნების წელი

3.9 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1] *(წარმოდგენილი უნდა იყოს დანართის სახით)*

IV. კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა,

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოს იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება, ასიტენტ–პროფესორები და ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა, და სხვა)

N	აქტივობის დასახელება

დამატებითი ინფორმაცია

N	

ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ

.....

ხელმოწერა გარკვევით

თარიღი

შენიშვნა: კონკურსანტმა ანკეტა (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) უნდა წარმოადგინოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის

დანართი №4

კონკურსანტის შეფასების ფორმა

ა) ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

გვარი	
სახელი	
მამის სახელი	

ბ) საკონკურსო პოზიცია

	☐ პროფესორი	☐ ასოცირებული პროფესორი	☐ ასისტენტ პროფესორი	☐ ასისტენტი
ფაკულტეტი *(საკონკურსო თანამდებობის სრული დასახელება)*				

შ ე ფ ა ს ე ბ ა

I კატეგორია: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

1.1 განათლება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.2 აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.3 სამსახურებრივი გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.4 პედაგოგიური სტაჟი
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.5 შეთავსებით მუშაობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

1.6 ინფორმაცია კლინიკური ბაზის შესახებ (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის)
წარმოდგენილია: დიახ ☐ არა ☐

საერთო შეფასება I კატეგორიის მიხედვით:

კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐	**კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ☐**

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან

2.1 პედაგოგიური გამოცდილება
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.2 სასწავლო–მეთოდური საქმიანობა
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.3 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები
შეესაბამება ვაკანსიის პროფილს: დიახ ☐ არა ☐

2.4 სასწავლო კურსების დასახელება, რომელთა წაკითხვა შეუძლია კონკურსანტს:

ა) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებია:

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

ბ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან შესაბამისი პროფილის თსუ–ში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილი **არ არის:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

გ) შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან სამომავლოდ (პროგრამებში ცვლილების შეტანის შემდეგ) **შეიძლება კურსად განხილულ იქნეს:**

სწავლების საფეხური	კურსების რაოდენობა	კურსის სახელწოდება	შენიშვნა
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
დოქტორანტურა			
პროფესიული			
სხვა საგანმანათლებლო პროგრამა			

2.5 წარმოდგენილი სილაბუსები

ა) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **სრულად შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

ბ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა **ნაწილობრივ შეესაბამება** თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

გ) წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა არ შეესაბამება თსუ–ში დადგენილ მოთხოვნებს ☐

შეფასება II კატეგორიის მიხედვით:

მაღალი	**საშუალო**	**დაბალი**

III კატეგორია: სამეცნიერო –კვლევითი საქმიანობა:

3.1 პუბლიკაციები იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში	
3.2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში,	

საკონფერენციო მასალები (Proceedings) და სხვა)	
3.3 პატენტები (გამოგონებები)	
3.4 ციტირების ინდექსი - ... ; *h* - ინდექსი - ...; *g-ინდექსი*	
3.5 მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.6 მოხსენებები ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.7 საგრანტო/სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში	
3.1 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან	

3.9 საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი:

3.8 სამეცნიერო კვლევების კონცეფცია/სამოტივაციო წერილი[1]:

საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით:

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას			
ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას			

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი)

4.1 *(მიღწევები, გამოცდილება, დამსახურება, ჯილდო, სტიპენდია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა, სტუდენტის ხელმძღვანელობა, ახალგაზრდა თაობის დაინტერესება თსუ–ში სწავლით, კომპიუტერთან მუშაობის უნარები, ენების ცოდნა და სხვა) -*

4.2 დამატებითი ინფორმაცია

[1] სამეცნიერო კვლევების კონცეფციის წარმოდგენა სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისთვის, რომელთაც სურთ პროფესორის, ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავება; ასიტენტ–პროფესორები და ასისტენტები წარმოადგენენ სამოტივაციო წერილს.

4.3 კლინიკური ბაზა (მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისათვის) (კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან; კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზრუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა (შესაბამისი ფართი და ინფრასტრუქტურა, სამედიცინო აქტივობა)

შეფასება	**მაღალი**	**საშუალო**	**დაბალი**
კლინიკური ბაზის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის შესაბამის სამედიცინო პროფილთან			
კლინიკური ბაზის შესაძლებლობა უზუნველყოს სასწავლო-პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა			

საერთო შეფასება IV კატეგორიის მიხედვით

შეფასება	**მაღალი** ☐	**საშუალო** ☐	**დაბალი** ☐
ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას			
ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას			

შედეგების შეჯამება

გადაწყვეტილება: ----------

კომისიის წევრების ხელმოწერა **თარიღი**

დანართი №5

(ნ ი მ უ შ ი)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი - 3 (სამი) ვაკანტური საკონკურსო თანამდებობა

_____

(თანამდებობის სრული სახელწოდება /იმ სახით რა სახითაც გამოცხადებულ კონკურსში იქნა მითითებული/ და ვაკანტური საკონკურსო თანამდებობის ოდენობა)

ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი

1. .....;

   (პრეტენდენტის გვარი, სახელი, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი)

2. .....;

   (პრეტენდენტის გვარი, სახელი, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი)

3. .....;

   (პრეტენდენტის გვარი, სახელი, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი)

4. .....;

   (პრეტენდენტის გვარი, სახელი, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი)

5. .....;

   (პრეტენდენტის გვარი, სახელი, სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემი)

ხელმოწერილია:

კომისიის თავმჯდომარე

წევრები

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	ლარი
● ნაშთი	**14906 888**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	8000 000
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული და საერთაშორისო გრანტების)	4949 331
მათ შორის : ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება (ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტისათვის)	1957 557
● შემოსავლები	**72956 778**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	46989 250
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	17603 100
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია)	1156 000
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4937 178
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2271 250
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**87863 666**
გადასახდელები ნაერთი	**ლარი**
სულ ასიგნება (I+II)	**87597 475**
I ხარჯები	**82497 710**
● შრომის ანაზღაურება	**40987 820**
● საქონელი და მომსახურება	**34655 560**
● სუბსიდიები	**2417 553**
● გრანტები (გრანტების თანადაფინანსების ხარჯები)	**150 000**
● სხვა ხარჯები	**4286 777**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**5099 765**
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	**266 191**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	**54723 060**
I ხარჯები	**54015 660**
● შრომის ანაზღაურება	**28093 520**

● საქონელი და მომსახურება	**23918 340**
●გრანტები (გრანტების თანადაფინანება)	**150 000**
● სხვა ხარჯები	**1853 800**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**707 400**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**17603 100**
I ხარჯები	**15958 900**
● შრომის ანაზღაურება	**12894 300**
● საქონელი და მომსახურება	**3004 500**
● სხვა ხარჯები	**60 100**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1644 200**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I)**	**1156 000**
I ხარჯები	**1156 000**
● სხვა ხარჯები	**1156 000**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(II)**	**1957 557**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1957 557**
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**12157 758**
I ხარჯები	**11367 150**
● საქონელი და მომსახურება	**7732 720**
● სუბსიდიები	**2417 553**
● სხვა ხარჯები	**1216 877**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**790 608**